ხაშურის მოამბე

№20 (491) 2 ივნისი, ორშაბათი, 2025 წელი

ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ქალაქ ხაშურში წყლისა და წყალარინების თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ინფრასტრუქტურას აშენებს

მიმდინარე სამუშაოებს ადგილზე გაეცნენ წყალმომარაგების კომპანიის დირექტორი დავით კვინიკაძე, დირექტორის მოადგილეები, შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული სიმონ გულედანი, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი და კონტრაქტორი კომპანიის წარმომადგენლები.

მასშტაბური პროექტი რამდენიმე ლოტისგან შედგება. პირველი ლოტის ფარგლებში,

ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, აშენდება წყალარინების და მთლიანი ქალაქის წყალმომარაგების ქსელი. 2025 წლის ბოლოდან დაგეგმილია ქ. ხაშურის მოსახლეობის 24-საათიანი წყალმომარაგებით უზრუნველყოფა.

კონტრაქტის ფარგლებში გათვალისწინებულია 200კმ წყალმომარაგებისა და 45 კმ წყალარინების სრულიად ახალი ქსელის მოწყობის სამუშაოები. დღეის მდგომარეობით, დასრულებულია წყალმომარაგების 140კმ ქსელის მოწყობა, სახლის მიერთება 5 200 ცალი. წყალარინების 14კმ ქსელი, სახლის მიერთება 482 ცალი, დამონტაჟებული ჭა 400 ცალი. სამშენებლო სამუშაოებს კონტრაქტორი კომპანია JV of YDA Insaat Sanayi Ve Ticaret Anonim Sirketi & Ardem Yapi Gayrimenkul Insaat Taahut Akar. Mad.Tic. A.S. ახორციელებს.

პარალელურად, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით, მიმდინარეობს ხაშურის წყალმომარაგების სათავე ნაგებობების, რეზერვუარებისა და მაგისტრალური მილების მშენებლობის სამუშაოები.

ასევე, დაგეგმილია წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა, სატენდერო პროცედურები ფინანსური წინადადებების შეფასების ეტაპზეა. ევროკავშირის მიერ გამოყოფილი გრანტით გათვალისწინებული ენერგოეფექტურობის კომპონენტის ფარგლებში, წყალარინების გამწმენდი ნაგებობის ტერიტორიაზე მოეწყობა მზის პანელები, რაც შეამცირებს შემდგომში ელექტროენერგიის ხარჯს.

დაგეგმილია ქ. ხაშურის წყალარინების ქსელების განვითარების მეორე ეტაპის

სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც აშენდება ქალაქის დარჩენილ ნაწილში წყალარინების ქსელი.

დღეის მდგომარეობით, ხაშურში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები მოძველებულია, რაც მოსახლეობას პრობლემებს უქმნის. ქალაქს წყალი დღის განმავლობაში რამდენიმე საათით მიეწოდება. მასშტაბური პროექტის დასრულების შემდეგ, ქალაქ ხაშურის მოსახლეობა - 40 000 ბენეფიციარი , 24 საათიანი წყალმომარაგებითა და წყალარინების მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით ისარგებლებს.

ქალაქ ხაშურის წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოებს საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა და ევროკავშირის მხარდაჭერით და სახელმწიფო ბიუჯეტის თანადაფინანსებით ჯამში - 300 მილიონ ლარზე მეტი მოხმარდება.

- ნარჩენების მართვა -

სლოვაკეთის გამოცდილება ჩვენს მუნიციპალიტეტშიც დაინერგება

28 მაისს ქვიშხეთში, სასტუმრო"მწერლების" საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა ორგანიზაცია GEO ს შემაჯამებელი შეხვედრა სლოვაკეთის მიერ დაფინანსებული პროექტის, ნარჩენების სეპარაცის და რეციკლირების მნიშვნელობა და გამოცდილების გაზიარება.

პროექტის ფარგლებში სლოვაკელმა ექსპერტებმა ხაშურის მუნიციპალიტეტს და საზოგადოებას გაუზიარეს საკუთარი გამოცდილება ნარჩენების მმართვის მიმართულებით,რომელშიც მეგობარი ქვეყანა ერთერთი წარმატებულია ევროკავშირის ქვეყნებს შორის.პროექტი ითვალისწინებს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას ნარჩენების მართვის საქმეში, იმას , რასაც ვყრით და გარემოს ვაბინძურებთ,აქვს ნარჩენი ღირებულება, რომლის გამოყენება ,რეციკლირება და ახალი სიცოცხლის მიცემა ,ერთერთი სტრატეგიული მიმართულებაა მომავალში. პროექტის ფარგლებში შეძენილია

51 ნარჩენების კონტეინერი,მწვანე ფერის, რომლებშიც შეგროვდება მხოლოდ პლასტიკის ბოთლები, ამ ეტაპზე, ეს მხოლოდ დასაწყისია, იმედია ჩვენი მოსახლეობა შეაფასებს ამ სიახლის მნიშვნელობას. ნარჩენების გადაყრის საკითხს უფრო გონივრულად მოეკიდება და გახდება ამ პროექტის მოხალისე მონაწილე.

ტაშისკარში წყალმომარაგების ჭაბურღილის სამარაგო რეზერვუარისა და წყალმომარაგების გამანაწილებელი ქსელის მოწყობის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს

სამუშაო პროცესს ადგილზე გაეცნო ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი მერის პირველ მოადგილე გიორგი პაპიაშვილთან ერთად.

„ჭაბურღილის ქსელის მოწყობა უზრუნველყოფს ტაშისკრის მოსახლეობას წყლით, ეს სამუშაოები მთლიანად ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან, რომლის ღირებულებაც 1 019 954 ლარს შეადგენს,"- აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2025 წლის ხუთ თვეში გაწეული მუშაობის ანგარიში

2025 წლის პირველი იანვრიდან, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მკურნალობის ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს სოციალური დაცვის სფეროში მუნიციპალური პროგრამების განხორციელებას.

2025 წელს, სამსახურის მიერ, შემუშავებულ იქნა ფულადი დახმარების სხვადასხვა მუნიციპალური პროგრამა, რომელთა ფინანსური მოცულობა შეადგენს 1 697 355 ლარს. მათ შორის:

ა) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მუნიციპალური პროგრამა - 270 100 ლარი;

ბ) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფულადი სოციალური დახმარების მუნიციპალური პროგრამა - 1 177 425 ლარი;

გ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა სოციალური მომსახურების პროგრამა - 48 405 ლარი;

დ) კონფლიქტის ზონასთან მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამა - 35 000 ლარი;

ე) უმწეოთა უფასო კვების მუნიციპალური პროგრამა - 166 425 ლარი;

2025 წლის ხუთ თვეში გაწეული მუშაობის მდგომარეობა კი ასეთია:

ა) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მუნიციპალური პროგრამა - 112 541.66 ლარი;

ბ) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფულადი სოციალური დახმარების მუნიციპალური პროგრამა - 861 425 ლარი (2710 ბენეფიციარი).

გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა სოციალური მომსახურების პროგრამა - 20 168 75 ლარი;

დ) კონფლიქტის ზონასთან მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების (50 პედაგოგი) უფასო მგზავრობის უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამა - 14 583.33 ლარი;

ე) უმწეოთა უფასო კვების მუნიციპალური პროგრამა - 69 343.75 ლარი;

გაწეული დახმარების მთლიან მოცულობაში მნიშვნელოვანი წილი უკავია ქრონიკული დაავადების მქონე ავადმყოფების უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფას. აღნიშნული მუხლით დაფინანსება ეხება შემდეგი კატეგორიის ავადმყოფებს: ეპილეფსიით, ონკოლოგიურ, დაუნის სინდრომით, ინსულტით, ჰემოფილიით, ღვიძლის ციროზით, სისტემური და ეპიდემიის შედეგად დაავადებულებს 300 ლარის ოდენობით, ბრონქული ასთმა, პარკინსონი, 500 ლარის ოდენობით და აორტო-კორონარული შუნტირებით 500 ლარის ოდენობით, ამ მიზნით დახმარება გაეწია 204-ზე მეტ ბენეფიციარს 81 600 ლარის ოდენობით.

მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ქრონიკული დაავადების მქონე ბავშვების/ მოზარდების რეაბილიტაციის კურსის დაფინანსებას. სქოლიოზით დაავადებულ 35 მოზარდს გაეწია დახმარება და ჩაუტარდა რეაბილიტაციის სრული კურსი, რამაც 10 500 ლარი შეადგინა.

მიმდინარე წლის მუნიციპალური პროგრამით ფულადი სოცია;ური დახმარება გაეწია მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირებს და იმ პირებს, რომლებიც დამოუკიდებლად ვერ გადაადგილდებიან, ან საჭიროებენ მომვლელს. აღნიშნული კატეგორიის 130 ბენეფიციარს გაეწია 39 000 ლარის ფულადი დახმარება.

ავადმყოფები, რომლებიც საჭიროებენ მაღალტექნოლოგიურ გამოკვლევებს, დახმარება გაეწია 105 ზე მეტ ბენეფიციარს - 40 380 ლარის ოდენობით.

თერაპიული მკურნალობის თანადაფინანსება, დახმარება გაეწია 23-ზე მეტ ბენეფიციარს 10 575 ლარის ოდენობით.

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მკურნალობის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, დადებითი როლი ითამაშა ზოგიერთი კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებამაც. ამ მუხლით ფინანსდებიან:

ა) ავადმყოფები, რომლებიც საჭიროებენ გეგმიურ ქირურგიულ ჩარევას;

ავადმყოფები, რომელთა სამედიცინო მომსახურებას არ აფინანსებს სადაზღვევო კომპანია, ან საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა;

ავადმყოფები, რომლების საჭიროებენ სხივური და ქიმიოთერაპიის კურსის თანადაფინანსებას;

მე-2 პუნქტით- „ავადმყოფები, რომელთა სამედიცინო მომსახურებას არ აფინანსებს სადაზღვევო კომპანია, ან საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა“-დახმარების გაცემის შესაძლებლობას, მიზანშეწონილებას და მოცულობას განსაზღვრავს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. აღნიშნული მუხლით ფულადი დახმარება გაეწია 971 ბენეფიციარს, რამაც სულ შეადგინა 347 920 ლარი.

ასევე დაფინანსდა 24 ხელმოკლე სტუდენტი. მათ სწავლის ღირებულების თანადაფინანსებისათვის 800 (არაუმეტეს) ლარის ფარგლებში უმაღლეს სასწავლებელში ჩაერიცხათ 19 000 ლარი;

თირკმლის დიალიზის პროგრამაში ჩართულმა 40 ბენეფიციარმა მიიღო დაფინანსება 20 000 ლარის ოდენობით;

მრავალშვილიან (ოთხი და მეტი შვილი) დედებს, რომლებსაც შეეძინათ ოთხი და მეტი შვილი, ასევე, დედის დღესთან დაკავშირებით 380 მრავალშვილიან დედას გაეწიათ ფინანსური დახმარება 130 100 ლარის ოდენობით.

გრძელდება სოციალური დახმარების გაწევა დედ-მამით ობოლ ბავშვებზე. დღეის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტში ასეთმა 2 ბავშვმა მიიღო დახმარება 500 ლარის ოდენობით - სულ 1000 ლარი.

მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანი, დევნილი, უპატრონო მიცვალებული) გაეწია 5 ბენეფიციარს 1250 ლარის ოდენობით.

სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან განთავისუფლებული პირების რესოციალიზაცია 1 ბენეფიციარი 200 ლარი- სულ 200 ლარი.

აუტიზმის სპექტრის მქონე მოზარდების (0 დან -18 წლამდე) სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება გაეწია 20 ბენეფიციარს 45 000 ლარის ოდენობით.

პარალელურად, გრძელდება წინა პერიოდში დაწყებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების დღის მოვლის ცენტრის, მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების დევნილი და სოციალურად დაუცველი მოსწავლეების უფასო მომსახურების მუნიციპალური პროგრამები.

გრძელდება კონფლიქტის გამყოფი ხაზის მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის დაფინანსების მუნიციპალური პროგრამა.

მიმდინარე წელს სოციალურად დაუცველ 600 ოჯახს, შობისა და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, კვების პროდუქტების პაკეტებით გაეწიათ დახმარება, რომლის ღირებულებამ შეადგინა 60 000 ლარი;

ასევე, ხანძრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილმა 3 ოჯახმა მიიღო ფულადი დახმარება 11 000 ლარის ოდენობით;

უკიდურესად გაჭირვებულ და უბინაო მოქალაქეებს (24 ოჯახი) ბინის ქირით უზრუნველსაყოფად ჩაერიცხათ 24 000 ლარი;

ასი და მეტი წლის უხუცესთა, დახმარება გაეწია 1 ბენეფიციარს 1000 ლარის ოდენობით.

ომის ვეტერანთა 46 ოჯახს გაეწიათ ფულადი დახმარება, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, 400 ლარით. სულ ამ თანხამ შეადგინა 18 400 ლარი;

ჩვენი სამსახური მომავალშიც ეცდება გაითვალისწინოს საზოგადოებაში არსებული პრობლემები და მოთხოვნები, რომელიც შესაბამისად ასახული იქნება მოქმედ პროგრამებში.

გიორგი ცერცვაძე,
მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი:

ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორიები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2023წ.#42, #43 2024წ.#2,#3, #4,5,6,7,8,9,10,11,12,15,15,17,18. #36,37,38,39,40,41,42,46,47. „ხმ“ 2025წ, #1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18).

დამარჩხებულებმა თავი შეაფარეს წაღვლის აღმოსავეთით ტყიან მინდორს, მაგრამ მდგომარეობა მაინც უიმედო იყო. მტრის ალყა ვიწროვდებოდა. ამ დროს ქართველმა მეომრებმა შეამჩნიეს, რომ სამეფო ჯარის დროშები გამოჩნდა მინდორზე, რომელსაც შემდეგში დაერქვა ბაირაღების მიდორი, იმ ტყეს კი სადაც თავი შეაფარეს ქართველებმა დაერქვა ,,იღბლების მინდორი”. ,,იღბალი გვქონია, რომ თავი ამ მინდორს შევაფარეთ და გადავრჩითო”.

ბარბაციკარი – ადგ; სალოცავი, ნაეკლესიარი აღმოსავლეთის მხარეს.

ბატონას მიწა - ადგ., სახნავი აღმოსავლეთის მხარეს. ,,ბატონა კაპანაძე ყოფილა, რომელსაც ეს მიწა კუთვნებია. ბატონა ქალის სახელია. გარდაიცვალა ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში. არავინ დარჩენია”.

ბატონას წყარო - ადგ; წყარო

ბესას ტყე - ადგ., ტყე სამხრეთის მხარეს. ,,ბესა კილაძე ყოფილა”.

ბესოს წყარო - ადგ; წყარო

გადაღმა სერი - ადგ., სერი, გორაკი

გალავანები- ადგ; მინდორი, ციხის ზღუდის ნანგრევები დასავლეთის მხარეს. ,,აქ გადმოცემით მდგარა წაღვლისთავის ციხე, რომელიც დავით აღმაშენებლის საზაფხულო რეზიდენციას წარმოადგენდა. ეს ფაქტი დასტურდება ისტორიული წყაროებით. დღეისათვის ციხე აღარ არსებობს 30-იან წლებში დაანგრიეს და ქვები სამშენებლო მასალად გამოიყენეს. შემორჩენილია საძირკვლის ნაშთები, რომლის საშუალებითაც მიახლოებით შეიძლება ციხის გეგმის აღდგენა”. ,,აქ რაღაც ნაგებობები იყო და ამიტომ ვეძახით“.

გალავნების მიწა - ადგ; გზა, მიემართება გალავნებისაკენ.

გალავნების ღელე - ადგ; ღელე დასავლეთით. ,,გალავნების ჩრდილოეთითაა, ჩორჩანიდან იღებს სათავეს და მიდის აბანოსკენ, წაღვლს უქცევს სამხრეთით“.

გალავნების წყარო - ადგ; წყარო დასავლეთის მხარეს.

გვერდა - ადგილი. 1701-1709 წლებით დათარიღებულ წაღვლელთა და ტკოცელთა მამულის საქმეზე განაჩენის მიხედვით ,,გვერდა და ტყე და ზეით ვაკე ტკოცელთათვის დაენებებინა და ასე გაერიგებინა”.

გოგიას წყარო - ადგ; წყარო

გოგლაანთუბანი - ადგ; უბანი. ,,აქ სახლობენ იმერეთიდან გადმოსული კილაძეები, რომელთა წინაპრის თიკუნა გოგლა ყოფილა“.

გოგლა კილაძის მიწა - ადგილი; დაფიქსირებულია 1853 წლის 4 სექტემბრის ამირეჯიბების გაყრის განაჩენში.

გოგონაანთ წყარო - ადგ; წყარო

გოროკი - ადგილი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს.

გრძელი კორდები - ადგ., მინდორი ჩრდილოეთით. ,,ნაძვნარია გაშენებული“.

დათოაანთ წყარო - ადგ; წყარო

დამშრალი წყარო - ადგ; წყარო ზედა უბანში. ,,წყალი ხან მოდის, ხან არა“.

დარისპანის მიწა - ადგ., სახნავი

დარისპანის წყარო - ადგ; წყარო

დიდლაშე - ადგ., სათესი

დიდი წყარო - ადგ; წყარო

ვანას წყარო - ადგ; წყარო

ვანიტყე - ადგ., ვენახი, სახნავი აღმოსავლეთით.

ვანიტყის გზა - ადგ; გზა, მიემართება ვანიტყისაკენ.

ვერხვები - ადგ., სახნავი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს. იგივეა რაც მიქელაანთ ვერხვები. ,,ვერხვების კორომი არსებობდა. დღესაც ახსოვთ მისი არსებობა”.

ვერხვების წყარო(1) - ადგ; წყარო

ვერხვებიწ წყარო(2) - წყარო მიქელაანთ ვერხვებში.

ზაქას ტყე - ადგ., ტყე აღმოსავლეთის მხარეს. ,,ზაქა ლომიძის სახელთანაა დაკავშირებული, მისი შთამომავლები დღესაც არიან”.

ზედა უბანი - ადგ; უბანი

ზეით ვაკე - ადგილი; იხ. გვერდა

თელების მინდორი - ადგ., სახნავი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხაეს. ,,გადმოცემის თანახმად აქ თელის ტყე ყოფილა, რომელიც გაუჩეხიათ”.

იასოს წყარო - ადგ; წყარო

ივანე კაპანაძისეული ძეძვები - ადგილი; დაფიქსირებულია 1853 წლის 4 სექტემბრის ამირეჯიბების გაყრის განაჩენში.

ივანე კაპანაძისეული ჭაობი - ადგილი;დაფიქსირებულია 1853 წლის 4 სექტემბრის ამირეჯიბების გაყრის განაჩენში.

ილიკოსნავენახარი - ადგილი

იოკიმების წყარო - ადგ; წყარო

იულონის კარი - ადგ., სახნავი დასავლეთის მხარეს.

იფნები - ადგ., სათესი

იღბლები - ადგ., სახნავი, მინდორი აღმოსავლეთის მხარეს. იხ. ბაირაღები. ,,კარგი სათესია, ალბათ ამიტომ ეძახიან. საციხურამდეა“(მ. კაპანაძე)

კაკლები - ადგ., სახნავი დასავლეთის მხარეს. ,,კაკლის ტყე ყოფილა”.

კაკოაანთი მიწები - ადგ., სახნავი დასავლეთის მხარეს. ,,კაკო კაპანაძეს ეკუთვნოდა. კაკოს შთამომავლობა დღესაც ცხოვრობს სოფელში, მათ კაკოანთებს ეძახიან”.

კაკუანთტბა - ადგ., პატარა ტბა

კალოები - ადგ., მინდორი აღმოსავლეთის მხარეს. ,,აქ კალოები ყოფილა გამართული უწინ”.

კაპანაძეების უბანი - ადგ; უბანი. იგივე რაც პატიკაანთ უბანი.

კაციაანთ მიწები - ადგ., სახნავი დასავლეთის მხარეს. ,,კაცია კაპანაძე ყოფილა, შეძლებული გლეხი. დღესაც სახლობენ მისი შთამომავლები”.

კაციანი - ადგ; უბანი

კენჭაძის კარი – ადგ; სახნავი, მინდორი დასავლეთის მხარეს. ,,გადმოცემით წაღვლის ციხის განახლებაზე მუშაობდა ცხრა ძმა კენჭაძე, რომლებსაც აქვე ჰქონიათ სამოსახლო, ხალხი მათ ნამოსახლარს დღესაც კენჭაძის კარს ეძახიან”. ალექსანდრე დიდის (1314-1346) სიგელში ნათქვამია, რომ წაღვლში ,,კენჭაშვილს ათი კოკა ღვინო“ მართებდა ულუმბის მონასტრისადმი.

კენჭეხარი - ადგილი, ,,ჭაობიანი, წყლიანი ადგილია”.

კეჭეხრის გზა - ადგ; გზა, მიემართება კეჭეხრისაკენ.

კენჭეხრის წყარო - ადგ; წყარო

კვიჟინაძის ახო - ადგ., სახნავი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,კვიჟინაძე ყოფილა ვინმე, რომელსაც ტყე გაუჩეხიათ და მეურნეობა მოუწყვია. ამ გვარის მოსახლენი წაღვლში აღარ არიან, არ გვხვდებიან”. ალექსანდრე დიდის (1314-1346) სიგელში ნათქვამია, რომ წაღვლში ,,კუიჟინაძეს თექვსმეტი კოკა ღვინო და ერთი ზურგიელი“ მართებდა ულუმბის მონსტრისადმი.

კვირტიას წისქვილი – ადგ; ნაწისქვილარი

კილაანი - ადგ; უბანი, აქ კილაძეები ცხოვრობენ.

კოდისწყარო - ადგ; წყარო

კოკაანი - ადგ; უბანი

კოჟები - ადგ., გორაკი.

კუნჭუხიძის წყარო - ადგ; წყარო

ლადას წყარო - ადგ; წყარო

ლალესტყე - ადგ., ტყე

ლაშეს ღელე - ადგ; ღელე სამხრეთ_აღმოსავლეთის მხარეს.

ლაშის თავი - ადგ; სახნავი. დაფიქსირებულია 1853 წლის 4 სექტემბრის ამირეჯიბების გაყრის განაჩენში.

ლევანტოს წისქვილი – ადგ; ნაწისქვილარი

ლეკიკალია - ადგ., სახნავი, საძოვარი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. ,,მოთარეშე ლეკებს გადაუწყვეტიათ სოფელს დასხმოდნენ თავს და ნადავლი გაეტაცათ. თავიანთი ჩანაფიქრი ლეკებს კიდეც განუხორციელებიათ. წაღვლელები ყოჩაღად მოქცეულან, შეკრებილან მამაცნი. გლეხები გაჰკიდებიან და სოფლიდან დაშორებით, ტყეში დაწევიან ლეკებს. წაღლელები ყველა ლევი მოუკლავთ. ამ ადგილს მას შემდეგ ,,ლეკიკალია”, ე.ი. ლეკების საკლავი დარქმევია”. ,,წინათ სოფელს აღმოსავლეთის მხრიდან კალია შემოსევია. ისინი ისე ანადგურებენ ნათესებს, როგორც ურჯულო ლეკები. ამიტომ ხალხმა შემდეგში ამ კალიებს ლეკების კალია უწოდა. ადგილს სადაც კალიები პირველად ნახეს, უწოდეს ,,ლეკიკალის”, ე.ი. ლეკების კალიები”. ,,აქ ლეკი მოუკლავთ”.

ლეოს ფერდა - ადგ., ფერდობი

ლომიძეების წყარო - წყარო

ლომისა - ადგ., მთა, ნასოფლარი მდ. ჭერათხევის ზემო წელში (ალის ფრონე, ალის წყალი), ხაშურისა და საჩხერის რაიონების საზღვარზე. მდებარეობს წაღვლის სასოფლო საკრებულოს ტერიტორიაზე ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.

მათიას მიწები - ადგ., სახნავი

მამუკაანთ მიწები - ადგ., სახნავი. ,,მამუკა კაპანაძეს ეკუთვნოდა. მისი შთამომავლობა დღესაც ცხოვრობს სოფელში”.

მამუკაანთ უბანი - ადგ; უბანი

მამუკაანთ წყარო - ადგ; წყარო

მამუკაანი - ადგ; უბანი, იგივე რაც მამუკაანთ უბანი

მაჭარაანთ წყარო - ადგ; წყარო

მაჭარაანი - ადგ; უბანი

მახვილაძის მიწა - ადგ; იხ. ტკოცურას რუ.

მილისწყარო//მილწყარო - ადგ., სახნავი ჩრდილ-დასავლეთის მხარეს. ,,ვენახიცაა გაშენებული. მილებით მოდიოდა წყალი ფერდა ტყიდან“.

მილისწყაროს გზა - ადგ; გზა, მიემართება მილისწყაროსაკენ.

მიქელაანთ ვერხვები - ადგ., ვენახი, სახნავი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. ,,სახელწოდება დაკავშირებულია მიქელაშვილების გვართან, რომელსც ეს ნაკვეთი ეკუთვნოდა. მიქელაშვილები დღესაც ცხოვრობენ სოფელში. გადმოცემით აქ ვერხვების ტყე ყოფილა, რომელიც დღეს აღარ არსებობს. ვერხვებსაც ეძახიან”. ,,მიქელაშვილები ცხოვრობენ წაღვლში. ალბათ მათი იყო. აქ ვერხვები არ მდგარა. შეიძლება ადრე იყო“(მ. კაპანაძე). ალექსანდრე დიდის (1314-1346) სიგელში ნათქვამია, რომ წაღვლში ,,მიქელაშვილს თორმეტი კოდი პური, ოთხმოცი კოკა ღვინო და ორი ზურგიელი“ მართებდა ულუმბის მონსტრისადმი.

მიხას მიწა - ადგ., სახნავი დასავლეთის მხარეს. იგივე პანტების მიწა.

მსხლის მიწები- ადგ., სახნავი სამხრეთის მხარეს. ,,აქ მსხლის ხეები ყოფილა, რომლებიც განადგურებულა”.

მულაძის მიწა - ადგ; იხ. ტკოცურას რუ

მუხის წყალი – ადგ; წყარო

ნადალას წისქვილი – ადგ; ნაწისქვილარი

ნადიკოს წყარო - ადგ; წყარო

ნალობიერი//ნალობიერები- ადგ., სახნავი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. ,,ამ ადგილებში კარგი ლობიოს მოსავალი მოდიოდა”.

ნაფუზარი- ადგ., სახნავი აღმოსავლეთის მხარეს. ,,დღეს აქ ბაღებია გაშენებული”.

ობოლაძის ახო - ადგ; მინდორი ჩრდილოეთით. ,,ტყეშია, ობოლაძე წაღვლში არავინ ცხოვრობს“.

ოსანაძის ახო - ადგ., სახნავი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,ვინმე ოსანაძეს ეკუთვნოდა. ეს გვარი სოფელში აღარაა”.

პანტები//პანტიეს მიწა - ადგ., სახნავი დასავლეთის მხარეს. ,,აქ ბევრი მაჟალო პანტა იდგა”.

პაპიძეები - ადგ; უბანი.

პატარა ლაშე - ადგ., სათესი.

პატარა წყარო - ადგ; წყარო.

პატიკიანთ მიწები - ადგ., სახნავი. ,,სახნავი ეკუთვნოდა ვინმე პატიკას, რომლის შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ წაღვლში”.

პატიკაანთ უბანი - ადგ; უბანი, ,,აქ ცხოვრობენ პატიკას შთამომავლები – კაპანაძეები”.

პირაღმა ვენახები - ადგ., ვენახი სამხრეთის მხარეს.

პუწკაანი - ადგ; უბანი. ,,აქ სახლოენ ლომიძეები, რომელთა წინაპრის სახინჯარი პუწკა ყოფილა“.

რეზოს მიწა - ადგ., სახნავი, სათივე სამხრეთ_დასავლეთის მხარეს. ,,რეზო კაპანაძეს ეკუთვნოდა. ახლაც ცხოვრობენ მისი შთამომავლები სოფელში”.

რეზოს წყარო - ადგ; წყარო

რუსების ხოდაბუნები - ადგ., სახნავი სამხრეთით. ,,ძველად რუსმა ჯარისკაცებმა, რომლებიც სამხედრო სამსახურიდან იყვნენ გამოქცეულები, ტყე გაჰკაფეს და დასახლდნენ. ამ მინდორს ხალხი დღესაც ,,რუსების ხოდაბუნებს ეძახიან”.

შაგველია - ადგ., სახნვაი სამხრეთის მხარეს.

სათიხე//სათიხეები - ადგ., ტყე ჩრდილოეთის მხარეს. ,,წვრიმალა ტყეა. ოდესღაც აქ დიდი ტყე ყოფილა, მაგრამ გაუჩეხიათ. ამ ტყეში გვიან პერიოდამდე მოსახლეობა თხრიდაა თიხის მიწას და აკეთებდა თონეებს, დოქებს, კეცებს”. ,,აქ თიხას იღებდნენ“(მ. კაპანაძე).

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

დაბა სურამში, ცენტრალურ სკვერში, არსებული კინოთეატრის რეაბილიტაცია აქტიურად მიმდინარეობს

„აქ კინოთეატრი, წლების განმავლობაში უფუნქციოდ იყო. ამჯერად, კინოთეატრის სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს, შენობა სამუსიკო სკოლას და სურამის ბიბლიოთეკას გააერთიანებს. აქვე იქნება სურამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის ოფისიც. განახლებული შენობა ჩვენი საყვარელი სურამის ცენტრს ახალ ხიბლსა და სიცოცხლეს შემატებს. მისი დიზაინის მომზადებაში უშუალოდ ვიყავი ჩართული და ვფიქრობთ, ძალიან ლამაზი გამოგვივა“- აღნიშნა სამუშაოების დათვალიერებისას ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

მერთან ერთად, სამუშაოებს ეცნობოდნენ მერის პირველი მოადგილე გიორგი პაპიაშვილი და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ვეფხვია ბლიაძე, მათი განმარტებით, დაბა სურამში, ცენტრალურ სკვერში არსებული კინოთეატრის რეაბილიტაციის სამუშაოებს მთლიანად მუნიციპალიტეტი აფინანსებს და ღირებულება 1 941 000 ლარს შეადგენს.

ხაშურში მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ეზოები მოეწყობა

„ვიწყებთ მასშტაბურ პროექტს და პირველ რიგში, იმ ეზოებს, სადაც უკვე დასრულდა წყლის და წყალარინების სისტემების რეაბილიტაცია, ეტაპობრივად მოვაწყობთ. დაიგება დეკორატიული ფილები, გაკეთდება მწვანე სივრცეები, დამონტაჟდება დასასვენებელი სკამები, განათება, სანაგვე urnები, ფანჩატურები. ყველა პროექტი ინდივიდუალური და საჭიროებიდან გამომდინარე იქნება. რა თქმა უნდა, ტენდენცია გაგრძელდება და მთელ ქალაქს მოიცავს.“- აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

მერის პირველი მოადგილის გიორგი პაპიაშვილისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ვეფხვია ბლიაძის განმარტებით, ამ ეტაპზე საპროექტო დოკუმენტაციისთვის მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს, რასაც შესაბამისი პროცედურები მოჰყვება.

ზემო სერის ტყე-პარკთან მისასვლელი გზის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს

„ ამ ეტაპზე ხორციელდება ტერიტორიის მოსამზადებელი გრუნტის მოხსნის სამუშაოები, რის შემდეგაც დაიგება რკინა-ბეტონის საფარი,მოეწყობა სანიაღვრე არხები, ლითონის ზღუდარი, მიწისქვეშა კომუნიკაციები, ზემო სერის ტყე-პარკის შესასვლელთან საპარკინგე სივრცე და გარე განათება“-აღნიშნა სამუშაოების დათვალიერებისას ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

მერის პირველი მოადგილის გიორგი პაპიაშვილის განმარტებით, პროექტი გარდამავალია, სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის თანადაფინანსებით ხორციელდება და მისი ჯამური ღირებულება 1514 025 ლარს შეადგენს.

ყოფილი ბიბლიოთეკის ავარიული შენობის დემონტაჟი დაიწყო

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის ავარიული შენობის დემონტაჟის მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერა.

ბიბლიოთეკის დემონტაჟისთვის გამოყოფილი თანხა 59 997 ლარს შეადგენს.

მკითხველთათვის ბიბლიოთეკის რესურსებზე წვდომა შეუფერხებლად მიმდინარეობს ბიბლიოთეკისთვის გამოყოფილ ახალ სივრცეში - ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე.

ხცისში გზის რეაბილიტაცია დასრულდა

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხცისში სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია დასრულდა. მოეწყო ბეტონის საფარი და სანიაღვრე სისტემა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს საგზაო ნიშნებისა და მონიშვნების მონტაჟი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი სამუშაოების მიმდინარეობას ადგილზე გაეცნო.

ხცისში გზის რეაბილიტაცია თანადაფინანსებით ხორციელდება. პროექტის ღირებულება 272 364 ლარს შეადგენს.

რა ცვლილებები ამოქმედდება ივნისიდან ქვეყანაში

პირადობის მოწმობის ვიზუალი შეიცვლება - როგორი იქნება ახალი დიზაინი?

იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილებით შეიცვლება საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის, ასევე დროებითი და მუდმივი ბინადრობის, დროებითი საიდენტიფიკაციო ელექტრონული მოწმობის ვიზუალი. ამის შესახებ მინისტრის 10 მარტის ბრძანებაშია აღნიშნული.

როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, ეს ბრძანება ამოქმედდება 2025 წლის 4 ივნისიდან. რაც შეეხება ძველ მოწმობებს ანუ ახალი ბრძანების ამოქმედებამდე გაცემულ მოწმობებს, ისინი იმოქმედებს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით.

ბრძანების თანახმად, ახალ მოწმობაზე დაიტანება საქართველოს სახელმწიფო გერბი სრული სახით, ერთ ფერში და საქართველოს სახელმწიფო დროშა.

„მოწმობის ფონური გამოსახულების ნაბეჭდი ელემენტები ისე უნდა იყოს განაწილებული, რომ რთული იყოს ფონური გამოსახულების დაშლა (მაგალითად, ობიექტის დანაწევრება პატარა კომპონენტებად) გაყალბების მიზნით და მანიპულაციები ადვილად აღმოსაჩენი იყოს. მოწმობა უნდა შეიცავდეს: სახელს; გვარს; სქესს; მოქალაქეობას; დაბადების თარიღს; დაბადების ადგილს; პირად ნომერს; ფოტოსურათს; პირადი ხელმოწერის ნიმუშს; მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელებას; მოწმობის გაცემის თარიღს; მოწმობის მოქმედების ვადას; ფიზიკური პირის ავთენტიფიკაციის სერტიფიკატს, შესაბამის დახურულ გასაღებს და სერტიფიკატის გამცემ ორგანოს; კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატს, შესაბამის დახურულ გასაღებს და სერტიფიკატის გამცემ ორგანოს; მოწმობის წვდომის კოდს (CAN – Card Access Number); QR კოდს, რომლის მეშვეობით შესაძლოა გადამოწმდეს დოკუმენტის ან/და პირის შესახებ ინფორმაცია," - ნათქვამია იუსტიციის მინისტრის ბრძანებაში.

„მაგთი" ზოგიერთ მობილურ ინტერნეტ-პაკეტს აძვირებს

კომპანია „მაგთიკომი" ზოგიერთ ულიმიტო მობილურ ინტერნეტ-პაკეტს აძვირებს. როგორც კომპანიის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, ახალი ტარიფები მიმდინარე წლის 1-ლი ივნისიდან ამოქმედდება.

კომპანიის ცნობით, ტარიფის ცვლილება შეეხება კვირის და თვის ულიმიტო ინტერნეტ-პაკეტებს. ისინი შესაბამისად, ერთი და სამი ლარით გაძვირდება.

კერძოდ, ცვლილების შედეგად, 2025 წლის 1-ლი ივნისიდან:

„ულიმიტო ინტერნეტ-კვირა" – 9 ლარიდან 10 ლარამდე იზრდება;

„ულიმიტო ინტერნეტ-თვე"– 32 ლარიდან 35 ლარამდე.

ამასთან, კომპანიაში აცხადებენ, რომ 1-ლი ივნისიდან შესაბამისი პაკეტის ავტომატური განახლებისას უკვე იმოქმედებს ახალი პირობები.

, ცვლილება ამ ეტაპზე, მხოლოდ მობილური ინტერნეტის აღნიშნულ პაკეტებს შეეხება.

ერევნიდან ბათუმისკენ სარკინიგზო რეისები დაიწყება - უქმდება ერევანი-თბილისის რეისი

ერევანი-ბათუმი-ერევანის სამგზავრო მატარებელი 14 ივნისიდან განახლდება. აღნიშნული მატარებლის მიმოსვლის შესახებ სს „საქართველოს რკინიგზამ" ხელი მოაწერა შეთანხმებას სს „სამხრეთ კავკასიის რკინიგზასთან".

შეთანხმების თანახმად, მეზობელ ქვეყნებს შორის სამგზავრო მატარებლების რეისები დღეგამოშვებით, საქართველოში ზღვის საკურორტო სეზონის შესაბამისად 1-ელ ოქტომბრამდე შესრულდება.

ამასთან, სომხური გამოცემა News.am წერდა, რომ მატარებელი ერევნიდან თვის ლუწ რიცხვებში იმოძრავებს, ხოლო ბათუმიდან რეისები კენტ რიცხვებში შესრულდება. მგზავრობის დრო კი 16 საათი იქნება.

ამავე გამოცემის ცნობით, ერევანი-ბათუმი-ერევანის მარშრუტზე მატარებლების მოძრაობის პერიოდში ერევანი-თბილისის რეისი გაუქმდება.

იცვლება ბიომეტრიული პასპორტის დიზაინი - როგორი იქნება ახალი ვიზუალი?

ბიომეტრიული პასპორტის დიზაინი იცვლება. ამის შესახებ იუსტიციის მინისტრის ბრძანებაშია აღნიშნული. დოკუმენტით დგინდება საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტის, ბიომეტრიული დიპლომატიური პასპორტისა და ბიომეტრიული სამსახურებრივი პასპორტის, აგრეთვე საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის ბიომეტრიული სამგზავრო პასპორტისა და ლტოლვილის ბიომეტრიული სამგზავრო დოკუმენტის ტექნიკური მახასიათებლები, ასევე ფორმები.

იუსტიციის მინისტრის ეს ბრძანება 4 ივნისიდან ამოქმედდება და შესაბამისად, ამ თარიღიდან მოქალაქეებს ახალი დიზაინის პასპორტის აღება მოუწევთ.

ბრძანებაში აღნიშნულია, რომ პასპორტის ბლანკი უნდა წარმოადგენდეს წიგნაკის სტანდარტულ ფორმატს, მომრგვალებული კუთხეებით, აგრეთვე, უნდა შედგებოდეს ყდის, მისი 2 შიდა გვერდის, 36 ქაღალდის გვერდისა და 1 ორ-გვერდიანი პოლიკარბონატით დამზადებული ელექტრონული ჩანართისგან (მონაცემთა ელექტრონული გვერდი).

გარდა ამისა, საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტის გარე ყდის ფერი უნდა იყოს მუქი შინდისფერი, საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული დიპლომატიური პასპორტის – მუქი ლურჯი, საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული სამსახურებრივი პასპორტის – შავი, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის ბიომეტრიული სამგზავრო პასპორტის – ღია ლურჯი, ხოლო ლტოლვილის ბიომეტრიული სამგზავრო დოკუმენტის – ლურჯი და ა.შ.

ცვლილება საქალაქთაშორისო მგზავრთა გადაყვანის წესებში

ავტოსადგურები სერტიფიცირებისთვის ემზადებიან. 1-ლი ივნისიდან ქვეყანაში არსებულ ყველა ავტოსადგურს კანონით დადგენილი რეგულაციების დაკმაყოფილება მოუწევს. „ბიზნესპრესნიუსს" სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოში განუცხადეს, რომ ამ ეტაპზე ქვეყნის მასშტაბით 60-ზე მეტი ავტოსადგურია და თითოეული მათგანი ფუნქციონირებისთვის საჭირო სერტიფიცირების მიღებისთვის ემზადება.

ავტოსადგურს სერტიფიკატის მიღებისა და ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული მოთხოვნების დაკმაყოფილების ვალდებულება წარმოეშობა 2025 წლის 1-ლი ივნისიდან, თუმცა აღსანიშნავია, რომ ავტოსადგურს აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგაც ექნება შესაძლებლობა, რომ სერტიფიკატი სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოსგან მიიღოს.

გარდა ამისა, ცვლილებებით დაგეგმილია, რომ 2025 წლის 1-ლი ივნისიდან 150 კმ-ის მანძილით დაშორებულ ქალაქებს შორის მგზავრების გადაყვანა მხოლოდ ავტობუსებით განხორციელდეს. აღსანიშნავია, რომ პირველ ეტაპზე ეს რეფორმა შეეხება რამდენიმე დიდ ქალაქს, ესენია: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ზუგდიდი, თელავი. შესაბამისად, ამ ქალაქებიდან მგზავრების გადაყვანა 150 კმ მანძილით დაშორებულ ტერიტორიებზე მხოლოდ ავტობუსებით უნდა განხორციელდეს.

თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ მძღოლები ამ რეგულაციის გადავადებას ითხოვენ და როგორც ცნობილია, მიდის მუშაობა სახელმწიფოსთან ამ თემაზე. თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო, ეს სავარაუდოდ უახლოეს პერიოდში გაირკვევა.

სოფელ ვაყაში, მდინარე ჭერათხევის მონაკვეთზე, ნაპირდამცავი/ნაპირსამაგრი კედლისა და გაბიონის მშენებლობა მიმდინარეობს

სამუშაოების მიმდინარეობა ადგილზე დაათვალიერა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა და მერის პირველმა მოადგილე გიორგი პაპიაშვილმა.

"ნაპირსამაგრი კედლის მშენებლობა აუცილებელია შესაძლო სტიქიის პრევენციის მიმართულებით. ვაყა მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული სოფელია, ამიტომ აღნიშნული პროექტის განხორციელება ამ მხრივაც მნიშვნელოვანია", განაცხადა თენგიზ ჩიტიაშვილმა პროექტის დათვალიერებისას.

პროექტი ხორციელდება სტიქიის პრევენციის ფონდის დაფინანსებით და მისი საერთო ღირებულება 665 639 ლარს შეადგენს.

სურამში, გვერდისუბნის დასახლებაში, გზის რეაბილიტაცია ხორციელდება

სამუშაოებს ადგილზე ეცნობოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, მერის პირველი მოადგილე გიორგი პაპიაშვილი და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ვეფხვია ბლიაძე.

მათი განმარტებით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს ტერიტორიის მოსწორებისა და სანიაღვრე არხების მშენებლობის სამუშაოები. პროექტით გათვალისწინებულია ბეტონის საფარის მოწყობა.

სურამში, გვერდისუბნის დასახლებაში გზის რეაბილიტაცია ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ერთობლივად ფინანსდება და ღირებულება 349 696 ლარს შეადგენს.

აღსანიშნავია ისიც, რომ სურამში, ბოლო პერიოდის განმავლობაში, არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა და მიმდინარეობს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ადგილობრივების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და ტურისტული პოტენციალის გაზრდის თვალსაზრისით.

სამი ლომი, სამი „ოქროს ბიჭი“, სამი ხაშურელი - მსოფლიო ჩემპიონატზე

ლუკა მაისურაძე

ზაურ დვალაშვილი

ტატო გრიგალაშვილი

არა, რაც გნებავთ ის ბრძანეთ, მაგრამ ერთი ფაქტიც არ მახსენდება, რომ ასეთი პატარა ქალაქიდან ძიუდოს მსოფლიო ჩემპიონატზე ერთბაშად სამი მონაწილე ყოფილიყო. მსხვილი დედაქალაქებიდან ალბათ იყო კიდეც ასეთი პრეცენდენტი, მაგრამ ქალაქი, რომელიც სულ რამდენიმე ათეულათას მცხოვრებს ითვლის და სამ თავის ლომკაცს აგზავნის მსოფლიოზე. მგონი, პირველია. აჰა, ფაქტიც! ის კი არა, ხაშურში ხუმრობენ კიდეც, „მარშუტკის“ მძღოლებმა რომ იციან: ორი კაციც და გავდივართო, ზუსტად ორი კაციც რომ დაემატოს ამ ოქროს სამეულს, მსოფლიო კი არა, ხაშურის შიდა პირველობა გამოვა. რატომაც არა! ისეთი ბიჭები მოდიან, ახლები, რომ ესეც შეიძლება ახდეს.

გენაცვალეთ, ბიჭებო! სულ ათიოდე დღე დარჩა მსოფლიო ჩემპიონატამდე და მთელი ხაშური თითებზე ითვლის ამ დღეებს.

გვჯერა თქვენი და გვეიმედებით!

გ. გოგოლაძე

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით და სამუსიკო სკოლის ორგანიზებით, სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში, ვატო ჟორდანიას საფორტეპიანო კონცერტი გაიმართა

შესრულდა ჰაიდნის, შუბერტის, ლისტის ნაწარმოებები.

ვატო (ვახტანგ) ჟორდანიამ, 2010 წელს დაამთავრა ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. არის ვენის მუსიკალური და სახვითი ხელოვნების უნივერსიტეტის მაგისტრი.

საბერძნეთის ახალგაზრდა პიანისტთა III საერთაშორისო კონკურსზე მიიღო II პრემია, II პრემია ვასილი კრაინევის სახელობის პიანისტთა V საერთაშორისო კონკურსზე, I პრემია საქართველოს მუსიკოს-შემსრულებელთა IV კონკურსზე.

ასევე დაჯილდოებულია საქართველოს პრეზიდენტის, ვ. სპივაკოვის, ლ. ლეონსკაიას, ელენე ანჯაფარიძის სახელობის სტიპენდიებით.

საქართველოს მოსწავლეთა მეორე სასკოლო ოლიმპიადა ჭადრაკში

- „ნონა გაფრინდაშვილის თასი“ - სრეგიონალურ ტურში, გორში, ხაშურის N1 საჯარო სკოლის გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა. (მასწავლებელი - ლაშა ლომიძე).

საამაყო ბიჭები ჰყავს ხაშურს, ამ ოთხმა გონიერმა და ჭკვიანმა ბიჭმა დაიცვა საკუთარი სკოლის და საკუთარი რაიონის სახელი, ისინი მხოლოდ მეორე კლასში სწავლობენ და სკოლის გაკვეთილებზე ისწავლეს ჭადრაკის თამაში, ვუსურვოთ მათ წარმატება ფინალურ ტურნირში , მოიპოვონ საპატიო თასი და გაახარონ გულშემატკივრები.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.